ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7559128

ნომერი: AR11098979

თარიღი : 12.07.2025

გაცემის თარიღი : 18.07.2025

გაცნობის თარიღი : 18.07.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკო კეცხოველის ქუჩა, N 72ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი კენჭოშვილი პ/ნ 01027071184
- თბილისი მოსკოვის გამზ. I კომპ. კორ. 4 ბ. 6-8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით თქვენი საკითხი განსახილველად გადაგზავნილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (60-01251991578), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ დამატებით, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

ასევე :
- წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა თარიღის ფიქსაციით.
- საპროექტო ფანჩატური დაიტანეთ სამსახურის მიერ შეტანხმებული პროექტის გენგეგმაზე . გაითვალისწინეთ ფანჩატურის განთავსებით არ უნდა შემცირდე კ3 კოეფიციენტი.
- წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი სათანადო წესით დამოწმებული მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრებაზე დამსწრე წევრთა რიცხვითი და პროცენტული რაოდენობის მითითებით, წარმოდგენილ იქნეს კრების ოქმი, რომელსაც დაესწრო ამხანაგობის 2/3 (67%) და კრებაზე განსახილველ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

გთხოვთ განაცხადი შემოაბრუნოთ არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.